

ლიტერატურა

ხანგრძლივი, მდიდარი ისტორია და ამაღლებელი აწმყო

იაპონური ლიტერატურა მდიდარი აღმოსავლური ტრადიციების განუყოფელი ნაწილია. მას VIII საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი და იმთავითვე მასზე გავრცელდა უცხოური გავლენა, რომლის ერთადერთ წყაროს ჩინური კულტურა წარმოადგენდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრდან კი ჩინური კულტურის ზეგავლენა თითქმის ჩაანაცვლა თანამედროვე დასავლურმა კულტურამ.

ადრეული და ჰეიანის პერიოდების ლიტერატურა



მანიოშიუ

ქვაზე წარწერილი ლექსი მანიოშიუს

(„ძველი ამბების ჩანაწერები“, 712 წ.) და კლასიკურ იაპონურზე შედგენილი *ნიჰონ შიოკი* („იაპონური ქრონიკები“, 720 წ.).

600 წელს იაპონიაში სუი-ს იაპონურად იგივე კენტოშიის (589-618 წწ.) და თანგის იაპონურად იგივე კენტოშიის (618-907 წწ.) ჩინური დინასტიების ოფიციალური წარმომადგენლობების გახსნამ დასაბამი მისცა ჩინური კულტურის, ტექნოლოგიისა და მართვის მეთოდების დაწვრილებით გაცნობას. იაპონურმა მთავრობამ დააფინანსა პირველი ორი წერილობითი ძეგლის შედგენა, რაც მიზნად ისახავდა მისი პოლიტიკის ლეგიტიმურობის დოკუმენტურ დადასტურებას. ეს გახლდათ სინო-იაპონურზე დაწერილი კოჯიკი

იაპონური მითების, გენიალოგიების, ხალხურ გმირებზე ლეგენდებისა და ისტორიული ჩანაწერების კოლექციებში ასევე შედის სიმღერების გარკვეული რაოდენობა, რომელიც მეტწილად შედგენილია არასწორი მეტრით. ჩინური იეროგლიფებით გადმოცემული იაპონური სიტყვებითა და მარცვლებით დაწერილი ეს სიმღერები გვახედებენ ამ სალიტერატურო პერიოდის იაპონური ლექსის სამყაროში.

ადგილობრივი პოეზიის პირველი უდიდესი კოლექცია ასევე დაწერილია ჩინური იეროგლიფებით და ეწოდება *მანიოშიუ* („ათი ათასი ფოთოლი“, გვიანი VIII ს.). მოცემული ნაწარმოებთა კრებული ოცდათერთმეტმარცვლიანი ვაკასგან შედგება, რომლის დიდი ნაწილი შედგენილია VII და VIII საუკუნეების შუა წლებში. კოლექციის ადრეული ლექსები ხასიათდება ძლიერი ემოციის პირდაპირი გამოხატვით, მაგრამ შედარებით გვიანდელი ლექსები მიუთითებს

პოეზიაში რიტორიკული ტრადიციის შემოღებასა და გამოხატვის ფორმის სინატიფეზე, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა შემდეგდროინდელ კარის პოეზიაში.

XIX საუკუნის შუა წლების რევოლუციური მიღწევა იყო იაპონური ენის ფონეტიკური სისტემის წერილობით გადმოსაცემად ეროვნული სადამწერლო ფორმის, *კანას* განვითარება. *კანამ*, რაც ეყრდნობოდა რადიკალურად შემოკლებული ჩინური სიმბოლოებით იაპონური ბგერების გადმოცემას, დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციის ცნობიერების გაღრმავებაში. მისი გამოყენების შემდეგ თვალშისაცემი გახადა იაპონური ლიტერატურის ჩინურ ლიტერატურულ ტრადიციებთან სხვაობა. პოეტები ადგენდნენ საკუთარ ლექსების კრებულს (*შიკაშიუ*) და შემდეგ ასურათებდნენ მას. ადრეულ X საუკუნეში შეკრებილ იქნა "*კოკინ ვაკაშიუ*" („უძველესი და თანამედროვე ხანის ვაკას კრებული“; 905 წ.), რომელიც წარმოადგენდა პირველ ნიმუშს ადგილობრივი პოეზიის 21 იმპერიული ანთოლოგიიდან.



მურასაკი შიკიბუს ძეგლი „გენჯის ამბავის“ ავტორი (ფოტო AFLO-სგან)

კანას შემოსვლამ ასევე დიდი როლი ითამაშა ადგილობრივ ენაზე პროზაული ლიტერატურის განვითარების საქმეში, რომლის ადრეული მაგალითებია: „*ისე მონოგატარი*“ („ამბავი ისესი“, X საუკუნის მეორე ნახევარი) - ვინიეტების კრებული, რომელიც კონცენტრირებულია ლექსებზე და „*ტოსა ნიკკი*“ („ტოსას დღიური“, 935 წ.). X საუკუნის ბოლოს, ფუჯივარას რეგენტების ხელისუფლებაში (მათი ზეგავლენა იმპერატორებზე იმაზე იყო დამოკიდებული ითხოვდა თუ არა მათ ქალიშვილებს სამეფო ოჯახის წარმომადგენლები) მოსვლის შემდეგ, დიდებულთა კარზე შეიქმნა საერთო ინტერესების მქონე ქალთა წრეები. სწორედ ამ ქალთა დამსახურებაა დიდი პროზაული კლასიკური ნაწარმოებების შექმნა XI საუკუნეში. მათ შორისაა: „*გენჯი მონაგატარი*“ („ამბავი გენჯისა“, ადრეული XI ს.), მურასაკი შიკიბუს ბელეტრისტული ნარატივი და „*მაკურა ნო სოში*“ („სეი შიონაგონის სასთუმლის წიგნი“, 996-1012 წწ.), სეი შიონაგონის ესეების კრებული. ეს ორი ნაწარმოები მიჩნეულია მკვიდრი იაპონური ლიტერატურული ტრადიციის წყალგამყოფებად.

შუა საუკუნეების ლიტერატურა

ძირითადად პოეზიის განვითარება შუა საუკუნეების პერიოდში (XII საუკუნის შუა წლებიდან XVI საუკუნემდე) დაკავშირებული იყო რენგასთან (ლექსის ფორმა). იგი მომდინარეობდა კარის პოეზიის ვაკა ტრადიციიდან და დანერგილ იქნა მეომართა კლასის წარმომადგენლებისა და იმპერატორის კარის ლაქიების მიერ. მაგრამ მათგან ყველაზე საუკეთესო რენგას პოეტები იყვნენ თემთა პალატის წევრები, მაგალითად, სოგი. პროზაული ლიტერატურის განვითარების მაღალი საფეხური გახლდათ საომარი მოთხრობის ("*გუნკი მონოგატარი*") შექმნა. ამის ნიმუშია „*ჰეიკე მონოგატარი*“ („ამბავი ჰეიკესი“, ადრეული XIII ს.), სადაც ტაირასა და მინამოტოს ოჯახებს შორის არსებული ომის ამბებზეა საუბარი. ამ ბრძოლამ დაამხო იმპერიის მმართველობა. ეს ნაწარმოები ვრცელდებოდა ყველა საზოგადოებრივ ფენაში მიმოხეტილად მღვდლების

მეშვეობით, რომლებიც ბივაზე, ბარბითის მსგავს საკრავზე, შესრულებულ აკომპანიმენტთან ერთად სიმღერით გადმოსცემდნენ ამ მოთხრობის შინაარსს. ამ ეპოქის ადრეული ხანის სოციალურმა ცვლილებებმა განაპირობა ისეთ თხზულებათა გამოჩენა, რომელიც ღრმად იყო გამსჭვალული *მუჯიოს* თემით, რაც ეხებოდა ბუდისტურ შეხედულებას ცხოვრების სიმყიფეზე. *მუჯიო* საფუძვლად უდევს "ჭეიკე მონოგატარისა" და ესეების კრებულ „ჰოჯიოკის“ („ათი კვადრატული ფუტისოდენა ქობი“, 1212 წ.), რომლის ავტორია კამო ნო ჩიომეი და ასევე - იოშიდა კენკოს „ცურეზურეგუსას“ („უქმობის ესეები“, 1330 წ.).

ედოს პერიოდის ლიტერატურა



ოკუ ნო ჰოსომიჩი
ტიხარი, რომელიც დეკორირებულია ბაშიოს ნაწარმოების, „ვიწრო გზა შუაგულ ჩრდილოეთისკენ“, ტექსტითა და ილუსტრირებით. (იამაგატას ხელოვნების მუზეუმის ფოტოებიდან)

არეულობის 100 წლის შემდეგ, ედოში (დღევანდელი ტოკიო) სტაბილური ცენტრალური ხელისუფლების შექმნამ და სტანდარტული ვალუტის შემოღებითა და ფართო გამოყენებით გამოწვეული საბაზრო ეკონომიკის ზრდამ ხელი შეუწყო ქალაქის მდიდარ ბინადართა კლასის ჩამოყალიბებას ედოს პერიოდში (1600-1668 წწ.).

ზოგადი კეთილდღეობის დონის ამაღლებას მოჰყვა წერა-კითხვის უფრო ფართოდ გავრცელება და ლიტერატურული ნაწარმოებები გარდაიქმნა ერთგვარ საბაზრო საქონლად, რამაც თავის მხრივ დასაბამი მისცა საგამომცემლო ინდუსტრიას. იმ დროის საზოგადოების იუმორისტულმა დახასიათებებმა, მსაგავსად იჰარა საიკაკუს 1682 წლის ნაწარმოებისა („*კოშიოკუ იჩიდაი ოტოკო*“ (ქართ. „*ამურული კაცის ცხოვრება*“)), დიდი კომერციული წარმატება მოიტანა და ასევე ისეთი პროზაული თხზულებები, რომელიც ხშირად ნატიფად გახლდათ ილუსტრირებული და გათვლილი იყო ფართო საზოგადოებაზე, გახდა ედოს პერიოდის ლიტერატურის მთავარი პროდუქტი. ასევე შეიქმნა კომერციული თეატრები, სადაც იმართებოდა *ჯიორიური*, თოჯინების თეატრი და *კაბუკი*, რომლის პიესათა შინაარსი ხშირად ეხებოდა ტოკუგავას შიოგუნატის მიერ დაწესებულ მკაცრად იერარქიული სოციალური წყობის შედეგად წარმოქმნილ კონფლიქტებს.

ჩვიდმეტმარცვლიანი მსუბუქი ლექსის ფორმა (ასევე ცნობილია როგორც *ჰაიკაი* ან შედარებით გვიანი სახელწოდებით - *ჰაიკუ*), რომლის ძირითადი თემა ალბულის იყო ჩვეულებრივი ადამიანების თვისებებიდან და ცხოვრებიდან, გახდა დიდი პოეზიის ნაწილი მაცუო ბაშიოს დამსახურებით. ის განსაკუთრებით ცნობილია, მისი სამოგზაურო დღიურებით, როგორცაა "ოკუ ნო ჰოსომაჩი" („ვიწრო გზა შუაგული ჩრდილოეთისკენ“, 1694 წ.). ბევრმა გამოჩენილმა

ფილოლოგმა ლიტერატურის დარგში, მათ შორისაა კვიჩიუ, კამო ნო მაბუჩი და მოტოორი ნორინაგა, დაწერეს სამეცნიერო შრომები ადრეული ხანის ლიტერატურულ ტექსტებზე („კოჯიკი“, „მანიოშიუ“ და „ამბავი გენჯისა“).

თანამედროვე ლიტერატურა



ნაცუმე სოსეკის პორტრეტი (ფოტო მოწოდებულია თანამედროვე იაპონური ლიტერატურის მუზეუმის მიერ)

1868 წელს იმპერიის აღდგენას მოჰყვა დასავლური ტექნოლოგიებისა და კულტურის სრული შემოსვლა, რამაც თითქმის ჩაანაცვლა ჩინური კულტურა. ამის შედეგად, რომანი გახდა ერთერთი სერიოზული და პატივსაცემი ჟანრი იაპონურ ლიტერატურაში. ამას მოჰყვა სალიტერატურო ენის თანდათანობით დათმობა სასაუბრო მეტყველების ფორმის სასარგებლოდ.

პირველი თანამედროვე რომანის „უკიგუმოს“ („მოდრეიფე ღრუბლები“, 1887-1889 წწ.) ავტორი იყო ფუტაბატეი შიმეი. ამ ნაწარმოებში თვალში მოგხვდებათ სასაუბრო ენის სტილი, ფუტაბატეის ნაწარმოების პერსონაჟთა გაჭირვებული მდგომარეობა სწრაფად ცვალებადი საზოგადოების კონტექსტში და მისი პროტაგონისტების ზედმიწევნით ნატიფი ფსიქოლოგიური ანალიზი. XIX საუკუნის 90-იან წლებში ფუტაბატეის ფსიქოლოგიური ალლო ბევრმა ახალმა მწერალმა გაითავისა. ამ სტილში დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი პროზაული ნაწარმოები გახლდათ ჰიგუჩი იჩიოს „ტაკეკურაბე“ („გაზრდა“; 1895-1896 წწ.). წითელ ფანრიანი რაიონის მკვიდრი ბავშვების შესახებ დაწერილ ამ მოთხრობაში, იჩიო აღწერს სიჭაბუკის მარტოსულობასა და მოწიფულობის ასაკში შესვლით გამოწვეულ დაბნეულობის განცდას. სხვა მწერალი, შიმამაკი ტოსონი, თავის პირველ რომანში, „ჰაკაი“ („დარღვეული მცნება“; 1906), რომელიც ასახავს სკოლის მასწავლებლის თავგადასავალს, რომელიც გულდასმით მალავს განდევნილთა თემიდან მისი წარმომავლობის ფაქტს მანამდე, სანამ გაიაზრებს, რომ მისი ხსნა მხოლოდ საკუთარი საიდუმლოს გასაჯაროებაში მდგომარეობს. თუმცა „ჰაკაის“ დასრულების შემდეგ, ტოსონი თავად შეიკეტა თავის პირად სამყაროში, რათა განეგრძო წერა ახალ ჟანრში, რომელიც მოიცავდა პირად ისტორიას, რომელიც ცნობილია, როგორც „რომანი - მე“ ანუ „შიშოსეგუ“.

თანამედროვე იაპონური რეალისტური ნოველა საბოლოოდ დაიხვეწა ნაცუმე სოსეკის მიერ; მისი ნაწარმოებების გმირები არიან საუნდერსიტეტო განათლების მქონე ადამიანები, რომლებიც დასნებოვნებულნი არიან ეგოიზმითა და დანარჩენი სამყაროსგან მათი გარიყულობის მძაფრი შეგრძნებით. დანაშაულის გრძნობა, ღალატი და იზოლაციაში ყოფნა სოსეკისთვის გარდაუვალი შედეგებია საკუთარი თავის ლიბერალიზაციისა და დასავლური კულტურის იაპონიაში შემოდინებისგან გამოწვეული გაურკვეველობებისა. ეს მოტივები განხილულია მის რომანში „კოკორო“ („გული“; 1914 წ.); „მონ“ („ჭიშკარი“; 1910 წ.) და „კოჯინი“

(„ქვეითი მგზავრი“; 1912-1913 წწ.). შემდეგი მწერალი, ვინც რეალისტური ნოველის ჟანრში წერდა იყო მორი ოგაი, რომელმაც პირველად საჯარო მოწონება მისი სამი მოკლე რომანტიკული მოთხრობის გამოქვეყნებით დაიმსახურა. მათ შორის ყველაზე პოპულარული გახდა „მაიჰიმე“ („მოცეკვავე გოგონა“; 1890 წ.). ეს მოთხრობა ეხება ბერლინში მცხოვრები ახალგაზრდა იაპონელი სტუდენტის სასიკვდილოდ განწირულ სიყვარულს გერმანელი მოცეკვავისადმი. მისი ყველაზე საუკეთესო გვიანდელი ნაწარმოებები ეძღვნება ისტორიული და ბიოგრაფიული ბელეტრისტული ჟანრების კვლევებს, როგორცაა ედოს პერიოდის ექიმის ცხოვრება „შიბუე ჩუსაიში“ (1916 წ.). ერთერთი საუკეთესო იაპონელი მოკლე მოთხრობების მწერლებიდან გახლდათ აკუტაგავა რიუნოსუკე. მისი ნაწარმოებები „რაშიომონი“ („რაშიომონი“; 1915 წ.) და „იაბუ ნო ნაკა“ („წარაფში“; 1922 წ.) არის ბრწყინვალედ მონათხრობი, რომელთაგანაც აერთიანებენ ფსიქოლოგიურ სიფაქიზესა და ახირებული სიამოვნების სარდონიულ ტონს გროტესკში. ნაგაი კაფუ, რომლის ცხოვრება და შემოქმედება ასახავდა თანამედროვეობასა და ძველი იაპონიის მიმართ არსებულ მწვავე ნაღველს შორის ჭიდილს, განსაკუთრებით ცნობილია მისი ელეგიური ჟანრის ნაწარმოებებით, მაგალითად, „ბოკუტო კიდან“ („უცნაური ამბავი მდინარის აღმოსავლეთიდან“; 1937 წ.). ეს უკანასკნელი აღწერს მქრალ ბინდბუნდს ტოკიოს გარეუბანში.

დამაი ოსამუმ ნათლად აღწერა ის მწვავე დანაკარგის შეგრძნება და დაბნეულობა, რაც მოჰყვა II მსოფლიო ომის მძიმე გამოცდილებას. დომაის ნაწარმოებმა „შიაიომ“ („ჩამავალი მზე“; 1947) და მის თვითმკვლელობამდე გამოცემულმა მომდევნო რომანმა, „ნინგენ შიკაკუ“ („აღარ ვარ ადამიანი“; 1948 წ.), მკითხველთა ფართო აუდიტორია მიიზიდა. დამარცხებიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ტანიძაკი ჯუნიჩირომ გამოაქვეყნა მისი შედეგრი, მასიური რომანი „სასამეიუკი“ („მაკიოკას დები“; 1943-48 წწ.). არისტოკრატი ვაჭრის ოჯახის ქალიშვილების ცხოვრების ეს ქრონიკები ასახავს ოჯახის დაღმასვლის ბოლო ეტაპებს ომის დაწყებამდე. ეს ნაწარმოები წარმოადგენს ძველი და ელეგანტური სამყაროდან შემორჩენილი ბოლო დეტალების გარდასვლის ლამაზ ელეგიას.

ისეთ რომანებში, როგორცაა „იუკიგუნ“ („თოვლის ქვეყანა“; 1935-1948 წწ.), ნობელის პრემიის ლაურეატი, კავაბატა იასუნარი, ქმნის უზარმაზარ დისტანციებს მისი ნაწარმოების გმირებს შორის, რითაც გვაფრთხილებს ინტიმურობის საშიშროების შესახებ, რაც ემუქრება ნებისმიერ საუკეთესო ადამიანურ ურთიერთობას. ომის შემდეგ კავაბატამ დაიწყო ახალი თემა, „დაკარგული იაპონიის ელეგიები“, როგორც თავად უწოდა, რაც შევიდა ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა „იამა ნო ოტო“ („მთის ხმა“; 1949-1954 წწ.). მიუხედავად ამისა, ომისშემდგომი პერიოდის იაპონური მწერლობა არ ეხებოდა მხოლოდ მარცხით გამოწვეულ შოკსა და დაბნეულობას, პირიქით, 1945 წლიდან შეინიშნებოდა ლიტერატურული რენესანსი. ამ დროის დებიუტანტ მწერალთა ჯგუფს უწოდებდნენ ომის შემდგომდროინდელი მწერლების „პირველ თაობას“. მათ რიცხვს განეკუთვნებიან - ნომა ჰიროში და ოკა შიოჰეი. ომის შემდგომდროინდელი მწერლების „მეორე თაობის“ წარმომადგენლები არიან: აბე კობო და მიშიმა იუკიო. აბემ მოგვიანებით შექმნა ფრანც კავკასიური ეგზისტენციალური ალეგორიების განსხვავებული სახეობა ისეთ რომანებში, როგორცაა: „სუნა ნო ონა“ („ქალი დიუნებში“; 1962

წ.) მაშინ, როცა მიშინამ მოიზიდა საერთაშორისო მკითხველთა აუდიტორია მისი მდიდარი ესთეტიურობის წყალობით ისეთ ნაწარმოებებში, როგორცაა: „კინკაუჯი“ („ოქროს პავილიონის ტაძარი“; 1956 წ.).

კრიტიკოსებმა XX საუკუნის 50-იანი წლები დაადგინეს, როგორც გარადამავალი ეტაპი, რომლის შემდეგ იაპონური ბელეტრისტიკა აღარ შეიძლება მარტივად დახასიათდეს, როგორც ადრეული ომის შემდგომდროინდელი ლიტერატურის სახელით. დაახლოებით ამ პერიოდიდან მოყოლებული დაიწყო „რომანი-ნოველ“ („I-novel“) განახლება და რესტრუქტურისაცია, რაც ომის შემდგომდროინდელი მწერლების „მესამე თაობას“ ეკუთვნის, როგორებიც არიან: კოჯიმა ნობუო, იასუოკა შიოტარო, იოშიიუკი ჯუნნოსუკე და შიმაო ტოშიო. ამ ჯგუფში ასევე შედის ენდო შიუსაკუ, კათოლიკედ მონათლული, რომელიც განიხილავს თავის ნაწარმოებებში ისეთ საკითხებს, როგორცაა ღალატი, სიმხდალე და მარტვილობა, მაგალითისთვის გამოდგება მისი „ჩიმმოკუ“ („სიჩუმე“; 1966 წ.). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული მწერლებმა მოძებნეს პროზასთან სხვადასხვა მიდგომების შერწყმის ხერხები ან გამოხატულების ახალი სახეები. ოე კენზუბარო, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო ლიტერატურაში 1994 წელს, მწერლობაში არაჩვეულებრივი გამოგონებლის უნარით იყო დაჯილდოებული. ის მუდამ ატარებდა ცდებს გამოხატვის ფორმებითა და სახეებით. ამის ნიმუშს წარმოადგენს „კოჯინტეკინა ტაიკენი“ („პირადი საკითხი“; 1964 წ.) და „მანენგანენ ნო ფუტტობორუ“ („უხმო ტირილი“; 1967 წ.). ცუშიმა იუკომ, დაძაი ოსამუს ქალიშვილმა, რომანში „ჩიოჯი“ („იღბლიანი“; 1978 წ.), განიხილა მარტოხელა მშობელ ქალთა ცხოვრება.

და ბოლოს, ბოლო ათწლეულების საერთაშორისო კულტურაზე გაზრდილ თაობას მიეკუთვნებიან ისეთი მწერლები, როგორებიც არიან: მურაკამი რიუ, „კაგირინაკუ ტომეი ნი ჩიკაი ბურუს“ („თითქმის გამჭვირვალე ლურჯი“, 1976 წ.) ავტორი და მურაკამი ჰარუკი, რომელიც პუპულარულია საზღვარგარეთელ მკითხველთა შორისაც მისი მრავალ ენაზე თარგმნილი ნაწარმოებების წყალობით. ჰარუკიმ მიიღო ფრანც კაფკას პრემია ჩეხოსლოვაკიაში 2006 წელს, იერუსალიმის პრიზი - 2009-ში და საერთაშორისო კატალონიის პრიზი - ესპანეთში 2011 წელს. იოშიმო ბანანა, რომელიც დაიბადა 1964 წელს, ასახავს ადამიანთა სასოწარკვეთილი იზოლაციის მდგომარეობას (იხ. მისი ნაწარმოები „Kitchen“, („სამზარეულო“; 1987 წ.). ბოლო ათწლეულების ავტორები ძალიან პოპულარულები არიან როგორც იაპონიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ლიტერატურა დღეს

2000 წლიდან ახალმა ლიტერატურულმა ფორმებმა იწყეს დამკვიდრება, მათ შორისაა ინტერნეტისა და ფიქური ტელეფონის ანუ კეიტაის ნოველები. კეიტაის ნოველებში, რომელზეც ხელი მიუწვდება ყველა მკითხველს, შედის ზოგიერთი ისეთი წიგნი, როგორცაა ბესტსელერი ლიტერატურა და დრამატურგიულად ინსცენირებული ნაწარმოებები. მსუბუქი ნოველები,



რომელიც ბევრ ილუსტრაციას შეიცავს და დაწერილია მარტივი ენით, ძალიან პოპულარული გახდა ბოლო დროს.

დღეისთვის ინტერნეტში ნაწარმოებთა გამოქვეყნება ძალიან მასიურ სახეს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ საავტორო უფლებების დაცვის ვადის გასვლის შემდეგ წიგნები უფასოდ იყიდება, თავად საავტორო უფლებებით დაცული წიგნები ინტერნეტშია განთავსებული. ინტერნეტში გამოქვეყნების ადგილობრივმა საბაზრო ღირებულებამ 2011 წელს შეადგინა 62.9 მილიარდი იენი. ინტერნეტ მედიის კვლევითი ინსტიტუტის თანახმად, რაც უფრო მეტი ადამიანი გამოიყენებს სმარტფონებს, მით უფრო გაფართოვდება ბაზარი.